ამიტომ ენისა და კულტურის კავშირი გარდაუვალია. ამასთან ენა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია მენტალურ სფეროში შედგენა. აქედან გამომდინარე, ენა არა მარტო სამეტყველო ქმედებაა, არამედ ადამიანის მთელი შინაგანი სამყაროს სარკეა.

კავშირი ენასა კულტურასა და აზროვნე-

ბას შორის ურღვევია. რადგან ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ნაციონალურ მენტალიტეტს. ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული ხასიათის ფორმირების საკითხსაც.

საკვანძო სიტყვები:

კულტურა, ენა, ნაციონალური ხასიათი, მენტალური სფერო.

შესავალი

ყოველ ერს გააჩნია ისტორია, რომელიც აღწერს ერის წარმოშობას, განვითარებასა და კულტურას, ერის დასაბამს დღემდე. სიცოცხლის რაობა და მისი წარმოშობა უდიდეს საიდუმლოს წარმოადგენს. დღეთს გარეშე ამ საიდუმლოს ახსნა, ვარაუდების სფეროს განეკუთვნება. რელიგიას, განურჩევლად რწმენისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს და დომინანტური ადგილი უჭირავს პიროვნების, ეთოსის, ზოგადად ერის ჩამოყალიბებაში. ეტიმოლოგიური კვლევის ფონზე შეიძლება დავადგინოთ, თუ რამ განაპირობა რელიგიური სახელდების ჩვენამდე ამ ლექსემათა სახით მოღწევა, დამოკიდებულია თუ არა მსგავსი ტიპის სახელდება ოიკონიმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

ძირითადი ნაწილი

ცნება „ადამიანი“ გვესმის როგორც გარკვეული ნაციონალური მენტალიტეტის და ენის მატარებელი, რომელიც ურთიერთობაშია სხვა დანარჩენი ერების წარმომადგენლებთან. თანამედროვე მეცნიერებას აინტერესებს არა უბრალოდ ადამიანი, არამედ პიროვნება, კონკრეტული ენის მატარებელი. იგი განუწყვეტლივ დიალოგშია სა-

მყაროსთან, საკუთარ თავთან და ადამიანებთან. ენა ერთადერთი საშუალებაა, რომელითაც შესაძლებელია მენტალურ სფეროში შეღწევა. ენა არა მარტო სამეტყველო ქმედებაა, არამედ ადამიანის მთელი “შინაგანი სამყაროს სარკეა” (გ. ლაიბნიცი). და თუ ეს ასეა, მასში პირველ რიგში აისახება ადამიანი-პიროვნება, რომლის ერთ-ერთი კონცეპტი კულტურასთან კონტაქტებითაც განისაზღვრება.

ენა ყველა დროში ითვლებოდა ეთნოსის იდენტიფიკაციის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებლად. ჯერ კიდევ პითაგორე იძლეოდა რჩევას, რომელიმე ხალხის ზნე-ჩვეულების შეცნობისთვის პირველ რიგში მათი ენის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

ფაქტია, რომ ენის საშუალებით ჩამოყალიბდა ადამიანთა მოდგმა, რადგან ენამ შეგვიქმნა ცნობიერება. ჩვენი ცნობიერება კი ჩვენი კულტურული (გონითი, სულიერი) ცხოვრების ამგები ფაქტორია. ენა ხომ ერის კულტურული ფასეულობის თავისებური ანაბეჭდია. ანაბეჭდი არა მარტო იმისა, რაც არის, არამედ იმისაც, რასაც მატერიალური (არაენობრივი) შესაბამისი უკვე აღარ მოეპოვება. ენა არის წარსულისა და აწმყოს შემაკავშირებელი უმძლავრესი მამოძრავებელი ძალა და ის ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი და მის აგებაში მონაწილე ფაქტორია.

ჰუმბოლდტი წერს: „ენის საშუალებით შესაძლებელია მოვიხილოთ ყველაზე მაღალი და ღრმა სფეროები და მთელი მრავალფეროვნება“. ენა არ არის მხოლოდ ურთიერთობის საშუალება, იგი სულის ემანაციაა ადამიანში, რომლის დროს დანაწევრებისა და სინთეზის შედეგად წარმოიქმნებიან სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა არის ცნება. იდეა იბადება სიტყვაში, ამდენად, ერთ ენაზე მეტყველ ადამიანებს ერთნაირი იდეები აქვთ, ხოლო სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთ – განსხვავებულებს და ერთნაირიც.

ენას ძალუძს შექმნას ვერბალური ილუზიები, სიტყვიერი მირაჟი, რომელიც ცვლის რეალობას. ვერბალური ილუზიები დიდ როლს თამაშობენ სოციალური სტერეოტიპების შექმნაში. ენის წყალობით ადამიანი გამონაგონს რეალობად აღიქვამს, განიცდის და იაზრებს არარსებულს, იტანჯება და ტკბება. ყოველივე ეს შესაძლებელია ენის მეშვეობით და სხვა სემიოტიკურ სისტემებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ენას, რადგან ენობრივ ნიშანს ძალუძს კულტურის ექსპონატი გახდეს.

მხოლოდ ენა ანიჭებს რეალობას თავის რეალობას, რომელიც არსებობის თვისებაა. ენა ადამიანის კულტურული ყოფის საფუძველია.

კულტურა რთული ფენომენია, რთული მოვლენაა, რომელსაც აქვს კომუნიკაციური, ღირებულებითი და სიმბოლური ხასიათი. მაგალითად (ქვა, რომელიც ქუჩაში დევს, არ არის კულტურა, მაგრამ იგივე ქვა წინაპრის საფლავზე უკვე კულტურაა), რომელიც ადგენს ადამიანის ადგილს საზოგადოებაში.

კულტურა არ გადაიცემა გენეტიკურად, არამედ სწავლების გზით, რომელიც მოითხოვს სერიოზულ გონებრივ ძალისხმევას. მაგალითად, სხვა ქვეყანაში დაბადებულ და გაზრდილ, წარმოშობით ქართველს, მაგრამ ქართული ენის არმცოდნეს, წარმოდგენა არ ექნებოდა იმ რეალებზე, რაც არსებითი და მნიშვნელოვანია ქართველობის განსაზღვრისათვის, და, რაც არ უნდა თარგმნითი საშუალებები გამოიყენო, სხვადასხვა ენებზე სიტყვა „გენაცვალებს“ სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის, ქართული ენის არმცოდნე ისე ვერ აღიქვამს და ვერ გაიაზრებს ამ სიტყვის ცნებით მნიშვნელობას, როგორც ქართულ სინამდვილეში გაზრდილი და ქართულ სამეტყველო ნორმებს დაუფლებული (თუნდაც ტომით არაქართველი) პიროვნება. აქედან გამომდინარე, ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ნაციონალურ მენტალიტეტს.

კულტურა ტრადიციების შენახვის პროცესია, მაგრამ იგი აგრეთვე შეუწყვეტილად არღვევს მას განახლების მიზნით, და განუწყვეტილად ქმნის ახალ ფორმებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, კულტურა მემკვიდრეობითი ხსოვნაა კოლექტივისა, რომელიც ცოცხლობს მხოლოდ კულტურათაშორის დიალოგში. კულტურის ქვეშ იგულისხმება კოლექტიური არსებობის თამაშის წესები, სოციალური პრაქტიკის საშუალებათა ნაკრები, რომელიც ინახება კოლექტივის მესიერებაში და რომელიც გამომუშავებულია ადამიანთა მიერ, სოციალურად მნიშვნელოვანი პრაქტიკული და ინტელექტუალური ქმედებისათვის.

თანამედროვე მკვლევარი ერიკ ვულფი ეჭვქვეშ აყენებს თვით ცნებას “კულტურა” და ამბობს, რომ არ არსებობს დამოუკიდებელი კულტურა და რომ ყოველი კულტურა ურთიერთკავშირშია და ერთმანეთს კვეთს, ამასთან ზოგიერთი იცვლება და ზოგიერთი საერთოდ წყვეტს არსებობას. ჩვენ ვეთანხმებით ვულფის ამ მოსაზრებას ზოგადად კულტურების ურთიერთკავშირის, ურთიერთმიმართების შესახებ. მაგრამ კატეგორიულად გამოვრიცხავთ მის მოსაზრებას დამოუკიდებელი კულტურის არარსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ის, რაც კაცობრიობამ შექმნა ადამიანის ხელით და მისი უშუალო მონაწილეობით – პოეზიისა და პროზის შედევრები, ხელოვნებისა და არქიტექტურის სანიმუშო ძეგლები, რომლებიც მოცემული ერის ისტორიული წარსულის, მისი სულიერი და კულტურული ყოფის უტყვი მოწმეებია, რაც ერის სულიერ საგანძურს წარმოადგენს და მისი ეროვნული თვითმყოფლობის შენარჩუნებისა და მისი საკაცობრიო სივრცეში თვითდამკვიდრების საძირკველია, – ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულნი იქნებოდნენ და ადამიანები საერთოდ დაკარგავდნენ სხვადასხვა ერების მიერ შექმნილი შედევრების გაცნობის ინტერესს – კულტურა ხომ გულისხმობს მარადიულს, იდეალისაკენ სწრაფვას,

მშვენიერებისაკენ ლტოლვას, ქმნის მრავალფეროვნებას და ინდივიდუალურ განუმეორებლობას. სხვადასხვა ხალხის კულტურა ხომ ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ სამყაროს საკუთარი აღქმით, არამედ მისი მატერიალურ-სულიერი ფასეულობათა დაცვით.

მშობლიური ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან. ადამიანის ცხოვრების მრავალი ასპექტი იმით განისაზღვრება, რომ ეს ადამიანი საზოგადოების წევრია. ამგვარი ასპექტების ერთობლიობა წარმოადგენს კულტურას. „კულტურა არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი. ასე დანახული კულტურა მოიცავს ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროს, რომლის აშკარად გამოსატყუღ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს ენა შეადგენს [გამყრელიძე. 2003:461]

ერთ-ერთი ძირითადი და საღისეულის კითხვა ენათმეცნიერებაში ეხება ენის, კულტურისა და აზროვნების კავშირს. ამ საკითხების განხილვისას ენათმეცნიერებაში გამოიკვეთა ორი საპირისპირო ჰიპოთეზა.

ერთი მხრივ, არის მოსაზრება ლინგვისტური ფარდობითობის შესახებ. ამ ჰიპოთეზის თანახმად ადამიანის აღქმა და გამოცდილება ენის სპეციფიკური კონცეპტუალისაციის წყალობით ხდება. „სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ახდენს გავლენას ადამიანის აზროვნებასა და გამოცდილებაზე. ამას უკავშირდება ლინგვისტური რელატივიზმისა და ლინგვისტური დეტერმინიზმის ცნებები. ლინგვისტური დეტერმინიზმი ნიშნავს, რომ ენას შეუძლია განაპირობოს აზროვნება, ხოლო ლინგვისტური რელატივიზმი (ფარდობითობა) ნიშნავს, რომ ეს განპირობებულობა უკავშირდება იმ კონკრეტულ ენას, რომელზეც პიროვნება მეტყველებს“ [გამყრელიძე. 2003:463].

ამ თეორიის თანახმად, ჩვენ ვხედავთ სამყაროს ჩვენი ენის საშუალებით. ედუარდ

სეპირი აღნიშნავდა, ადამიანი არსებობს არა მხოლოდ ობიექტურ სამყაროში და არა მხოლოდ სოციალური აქტივობა განსაზღვრავს მის ცხოვრებას, არამედ ადამიანზე მნიშვნელოვანწილად მოქმედებს ის კონკრეტული ენა, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში აზრის გამოსატვის და კომუნიკაციის საშუალებაა.

რეალური სამყაროს სურათი უმეტესად გაუცნობიერებლად აიგება ადამიანთა მოცემული ჯგუფის ენობრივი ნორმების საფუძველზე. ჩვენ გვესმის, ვხედავთ და აღვიქვამთ სინამდვილეს ამა თუ იმ კონკრეტული სახით იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოების ენობრივი ნორმები განგვაწყობს გარკვეული ინტერპრეტაციის ასარჩევად. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენდა ადამიანის აზროვნებასა და გამოცდილებაზე.

ენობრივი უნივერსალიზმი კი ეწინააღმდეგება პირველ ჰიპოთეზას. ამ ჰიპოთეზის თანახმად ადამიანის აზროვნება უნივერსალურია და ყვრდნობა ყველა კულტურის ძირითად პრინციპებს: თუ ენა ასახავს ადამიანის აზროვნებას, მაშინ ყველა ენა უნდა იყოს ერთნაირი.

ენის რელატიურობის ექსტრემალური პოზიცია აღიარებს მჭიდრო კავშირს ენასა და აზროვნებას შორის და ამიტომ აღინიშნება როგორც ენის დეტერმინიზაცია.

ენაში რელატიურისა და უნივერსალურის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებს, რომლებმაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს XX საუკუნის ენათმეცნიერების განვითარებაზე.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მიხედვით, მთელი კაცობრიობის დამახასიათებელი სინამდვილის ფაქტების ცნობიერების ფაქტებად გარდაქმნის უნარი რეალიზებულია არა „ზოგადადამიანურ ენაში“, არამედ კონკრეტულ ენათა მრავალფეროვან გამოვლინებაში. ხალხების ენობრივი კოლექტივები, ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან

სამყაროს ენობრივი ხედვით, (Weltanschauung) ენების საშუალებით რეალობის წვდომის გზებით. ენებს შორის განსხვავებებს განაპირობებს მსოფლხედვის (Weltbild) განსხვავება და არა მხოლოდ ენის ნიშნებსა და ბგერებს შორის არსებული განსხვავება.

ენის, კულტურისა და აზროვნების მჭიდრო კავშირის აღიარებას მიყვავართ ენისა და ნაციონალური ხასიათის ურთიერთდამოკიდებულების აღიარებამდე. ჯერ კიდევ ჰერდერი (1744–1803) ამტკიცებდა, რომ ენასა და ნაციონალურ ხასიათს შორის შინაგანი კავშირი არსებობს. მტკიცებულების საბაზს მას ისიც აძლევდა, რომ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რომანტიკოსების ახალმა სულისკვეთებამ, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს, განსაკუთრებით გერმანიაში დამკვიდრებულ კლასიციზმსა და გასული ეპოქების საძირკველში ღრმად მდებარე რაციონალიზმზე რეაქციას მოჰყვა. წამყვანი რომანტიკოსები უარყოფდნენ იმ თვალსაზრისს, რომ ლიტერატურული ხარისხის კანონი ყველა დროში კლასიკური ტრადიციების მეშვეობით დადგინდა. გერმანული სიძველისადმი ინტერესმა განაპირობა ძველი გერმანიკული ენების (გოთურის, ძველი ზემოგერმანულისა და ძველი ჩრდილოგერმანულის) ტექსტებისა და გლოსარების გამოქვეყნება და შესწავლა.

ჰერდერის შემდეგ, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა ამ თეზისს კონკრეტული ფორმამისცა, სადაც ამტკიცებდა, რომ ცალკეულ ენას აქვს საკუთარი სტრუქტურა, რომელიც კონკრეტული ხალხის აზროვნებისა და გამოსატვის სტილს აირეკლავს და განაპირობებს. ეს რწმენა, ეროვნული ენისა და ეროვნული ხასიათის ურთიერთკავშირის შესახებ, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი გერმანიაში, მოგვიანებით მთელი რიგი ბოროტი სპეკულაციების მიზეზი გახდა, რომელშიც ერთი მეორეს მიყოლებით სახელდებოდა ცნებები “რასა“ და „ენა“ (განსაკუთრებით სიტყვა „არიულის“ თვალსაზ-

რისით). მაგრამ ჩვენს მიერ განხილულ ეპოქაში იგი ინტერესს ამჟღავნებდა არა მარტო გერმანული ენის განვითარების ადრეული საფეხურებისადმი, არამედ საერთოდ ენობრივი განსხვავებულობის საყოველთაო აღფრთოვანებისა და მზადყოფნისათვის, ყველა ენა, მათ შორის ე. წ. „ბარბაროსული“ ენებიც, მისთვის განკუთვნილი ადგილის თანაზიარად განეხილათ. ამიტომ შემთხვევით არაა, რომ გერმანულ მეცნიერებს შედარებითი ფილოლოგიის დაარსების საქმეში გამორჩეული ადგილი უჭირავთ.

დასკვნა

ამრიგად, ენა ადამიანის კულტურული ყოფის საფუძველია. იგი კულტურული ფასეულობების თავისებური ანაბეჭდია. ანაბეჭდი არამარტო იმის, რაც არის, არამედ იმისაც, რასაც მატერიალური (არაენობრივი) შესაბამისი უკვე აღარ მოეპოვება. ენა არის წარსულისა და აწმყოს შემაკავშირებელი უმძლავრესი მამოძრავებელი ძალა. ის ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი და მის აგებაში მონაწილე ფაქტორია. ამიტომ ენისა და კულტურის კავშირი გარდაუვალია. ამასთან ენა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია მენტალურ სფეროში შეღწევა. აქედან გამომდინარე, „ენა არა მარტო სამეცნიერო ქმედებაა, არამედ ადამიანის მთელი შინაგანი სამყაროს სარკეა“ (Г. В. Лейбниц)

კულტურა არ გადაიცემა გენეტიკურად, არამედ სწავლების გზით, რომელიც მოითხოვს სერიოზულ გონებრივ ძალისხმევას. კულტურა ტრადიციების შენახვის პროცესია, მაგრამ იგი აგრეთვე შეუწყვეტლივ არღვევს მას განახლების მიზნით და განუწყვეტლივ ქმნის ახალ ფორმებს.

აქედან გამომდინარე, კავშირი ენასა, კულტურასა და აზროვნებას შორის ურღვევია. რადგან ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ნაციონალურ მენტალიტეტს. იგი განსაზღვრავს და აყალიბებს ეროვნული

თვითყოფადობისა და ეროვნული ხასიათის ფორმირების საკითხსაც.

ლიტერატურა

1. გამყრელიძე, თ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია (2003): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი
2. Beste G., Bremerich-Vos Albert U. A.(2006): Wissenspeicher Deutsch.. Berlin Cornelsen Verlag
3. Herder J.G. (1963): „Abhandlung über den Ursprung der Sprache“ In Th. Schippan (Hg) Lexikologie der deutschen Gegenwartssprache 1992.
4. Gross H. (1998): Einführung in die germanistische Linguistik. München . iudium Verlag
5. Lyons J. (1995): Einführung in die moderne Linguistik. 8. Auflage. Verlag G.H. Beck München
6. Römer Ch., Matzke B. (2005): Lexikologie des Deutschen. Gunter Narr Verlag. Tübingen
7. Schippan T. (1992): Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Max Niemeyer Verlag. Tübingen
8. Вежбицкая А. (1997): Язык. Культура. Познание. М. С. 77-79

The Constructive Role of Language and Culture in Building of National Character

Nana Stambolishvili
Shota Rustaveli University
Humanitarian Department
35 Ninoshvili av., 6010, Batumi, Georgia
E-mail : n_stamboli@yahoo.com

Lika Phartenadze
Shota Rustaveli University
Humanitarian Department
35 Ninoshvili av., 6010, Batumi, Georgia

Abstract

The language has always been the best testimony in identification of ethnos.

In ancient times Pythagoras gave an advice about inevitability of language learning in recognition of the people's habits.

In fact, the existence of mankind was determined by a language, as it was created through our consciousness. Our conscious is constructing factor of our cultural life (intellectual and spiritual).

The language is motivating powerful force in binding Past and Present. The language is the Part of our national culture and the main factor of its forming.

According to this fact, the unity of language and culture is inevitable. The language makes it possible to get into the mental sphere. It is not only the speech creator but it is the mirror of a man's inside world.

The unity of language, culture and thinking determines and forms not only the national mentality, but national originality and character.

Keywords:

religious toponyms, theonyms, religious onyms.

Конструирующая роль языка и культуры в формировании национального характера

Стамболишвили Нана

Батумский государственный университет

им. Шота Руставели

Департамент гуманитарных наук

Ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия

E-mail : n_stamboli@yahoo.com

Фартенадзе Лика

Батумский государственный университет

им. Шота Руставели

Департамент гуманитарных наук

Ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия

Резюме

Во все времена язык оставался наиболее яркой идентифицирующей характеристикой этноса. Пифагор для познания нравов любого народа, советовал прежде всего изучить его язык. Столь же неоспорима связь языка с культурой, орудием и ипостасью которой он является.

С помощью языка и стал самим собой человеческий род, т. к. с помощью языка мы познали окружающий мир, оно является конструирующим фактором нашей культурной (разумной, духовной) жизни. Язык есть сильнейшая движущая сила, соединяющая прошлое с настоящим, он также является составной частью национальной культуры.

Вопрос о взаимоотношениях языка и культуры, языка и этноса, языка и народного менталитета часто является предметом исследования, т. к. язык является не только речевой деятельностью, но и отражает внутренний мир человека.

Связь языка, культуры и мышления устойчива. Поскольку язык и культура определяют и формируют национальный менталитет, они определяют и формируют национальную самобытность и национальный характер человека.

Ключевые слова:

культура, язык, национальный характер, ментальная сфера.

არატერმინოლოგიური წარმოშობის ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია

ლოლიტა თაბუაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი, საქართველო
ტელ. 599 468 184
E-mail: ltabuashvili@yahoo.fr

რეზიუმე

ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების ნაწილი ეროვნულ საფუძველზეა შექმნილი. მათი წარმოშობის წყარო საკმაოდ განსხვავებულია და სხვადასხვა პერიოდს მოიცავს. ფრანგული ფრაზეოლოგიზმები ხალხთა ცხოვრების საზოგადოებრივ-ეკონომიკური და მატერიალურ-კულტურული სფეროებიდანაა აღებული, რომლებშიც ასახულია მათი ისტორია, ყოფა, კულტურა, სული და აზროვნების სტილი. ფრანგული ფრაზეოლოგიზმების ისტორიულ-ეტიმოლოგიურ კლასიფიკაციას ამავდროულად, ერთეულებს წარმოშობის წყაროების მრავალფეროვნება.

ქვემოთ განხილული კლასიფიკაცია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ამომწურავი. იგი ასახავს ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოშობისას მხოლოდ ძირითად, საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროებს.

საკვანძო სიტყვები:

ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმები, არატერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმები, კლასიფიკაცია, ქვეჯგუფი.

შესავალი

ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულები ორ დიდ ეტიმოლოგიურ კატეგორიად

იყოფა. ესენია:

1. არატერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები;
2. ტერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები.

არატერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები რვა ჯგუფად იყოფა, რომლებიც თავის მხრივ ქვეჯგუფებად იყოფიან. საკმაოდ მრავალრიცხოვანია ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიური ერთეულები. როგორც წესი, ისინი თავისუფალი სიტყვათწყობით ხასიათდებიან და უმეტეს შემთხვევებში პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენებიან. ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმებიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

სტატიაში განვიხილავთ არატერმინოლოგიური წარმოშობის ფრაზეოლოგიზმების რამდენიმე ჯგუფს.

ძირითადი ნაწილი

I. ბუნებასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები შემდეგ ქვეჯგუფებად იყოფა:

1. ფრაზეოლოგიზმები, რომელთა წარმოშობის წყაროს წარმოადგენს არაცოცხალი ბუნება. ამ ჯგუფში მოცემულია ისეთი გამოთქმები, რომელთა მნიშვნელობები დაკავშირებულია წყალთან, მიწასთან, ზღვასთან, ქვასთან, ნიადაგთან; მაგალითად:

eau f. - წყალი:

apporter (faire venir) de l'eau au malin - სხვის წისქვილზე წყლის დასხმა; ხელის მოთბობა;
se fondre en eau - ცრემლად დაღვრა, მღუღარების ფრქვევა;

troubler l'eau - საქმეების აწეწვა, ჩაშლა, კარტის არევა, წყლის ამღვრევა;

l'eau lui en vient à la bouche - ნერწყვი მოსდის, პირწყალი აღგება.

terre f. - მიწა:

battre (frapper) qn à terre – წაქცეულის ცემა;
sentir la terre – სიკვდილის პირას ყოფნა,
ცალი ფეხის სამარეში ქონა;

retomber sur terre q1 – ღრუბლებიდან მიწაზე
დაშვება.

mer f. - ზღვა

vouloir sécher la mer avec une éponge – ცხრი-
ლით წყლის მოტანა, ზიდვა, ფუჭი შრომა;

prendre la mer – მოგზაურობა წყლით, ზღ-
ვით, ნაოსნობის დაწყება, ზღვაში გასვლა;

chercher qn par la mer et par terre (ან par terre
et par mer) – ცა და დედამიწა შეაჯერა მის
ძებნაში, ქვეყანა გადააბრუნა, შეძრა.

Pierre f. – ქვა:

Pierre d'achoppement – ლოდი შებრკოლე-
ბისა;

apporter sa pierre à l'édifice – თავისი წილი
აგურის დადება (საერთო საქმეში);

poser la première pierre – პირველი ქვის და-
დება.

terrain m. – ნიადაგი, გრუნტი, მიწა:

être sur son terrain – თავის სტიქიაში იყო;

terrain d'entente – საერთო აზრი, ენა;

aller sur le terrain – დუელი.

2. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომ-
ლებშიც ბუნების მოვლენებია გამოსატული.
მაგ.

vent m. – ქარი:

avoir vent et marée – ყველანაირი პირობები
გქონდეს წარმატების მისაღწევად;

selon le vent – გარემოებათა მიხედვით, ვი-
თარებას გააჩნია, ქარი საიდან დაუბერავს;

jeter à tous les vents – ქარს გატანება, მიმო-
ფანტვა.

matin m. – დილა:

au matin de la vie – ცხოვრების გარიჟრაჟი,
სიჭაბუკე;

être du matin – ადრე აღგომა.

pluie f. – წვიმა:

pluie de chien – თავსხმა, კოკისპირული
წვიმა;

parler de la pluie et du beau temps – უსაგნო
საუბარი, აქეთურ-იქეთურზე საუბარი, ამ

მთისა, იმ ბარისა თქვეს;

après la pluie (vient) le beau temps – წვიმის
შემდეგ გამოიღარებს.

tonnerre m. – ჭექა-ქუხილი :

au tonnerre de dieu – დასაკარგავში, ჯანდა-
ბაში, ცხრა მთას იქით;

aller du tonnerre – შესანიშნავად, დაუბრკო-
ლებლად, რისინ-რისინით მიდის;

attirer le tonnerre – თავი უბედურებაში
ჩაიგდო.

3. ფრაზეოლოგიზმები, რომელთა წყა-
როს მცენარეული სამყარო წარმოადგენს.
ამ ქვეჯგუფის გამოთქმები შეიძლება და-
კავშირებული იყოს ბოსტნეულთან, ხილ-
თან, ასევე ყვავილებთან და ხეებთან.

chou m. – კომბოსტო:

être dans les choux – გასაჭირში ჩავარდნა;

aller planter ses choux – სოფელში გადაბარ-
გება, სოფლად განმარტობა;

tête de chou ჩერჩეტი, შტერი .

pomme f. – ვაშლი:

ridé comme une pomme (cuite) – დაჩამიხებუ-
ლი (სახე);

être dans les pommes – აცუნდრუკება, აღფრ-
თოვანება;

tomber dans les pommes – გულის წასვლა,
გრძნობის დაკარგვა.

rose f. – ვარდი:

cueillir les roses de la vie – ცხოვრებისეული
ყვავილის კრეფა;

être dans les roses – კარგ ხასიათზე ყოფნა;

envoyer dans les roses ზღართანი გაადენინა;

noix m. – კაკალი:

en avoir noix ბევრი სამკაულის, ძვირფა-
სეულობის ქონა;

noix dure à briser კერკეტი კაკალი;

ce sont des noix სისულელეა, ტყუილია,
ფუჭი დაპირებებია.

sapin m.- ნაძვი:

se perdre entre trois sapins – გზა აერია;

s'habiller le sapin – ფეხი გაჭიმა, წერილი
წაიღო, სული ამოხდა;

sentir le sapin – სიკვდილის პირასაა, ცალი

ფეხი სამარეში უდგას, ორი პარასკევი დარჩენია.

chêne m. – მუხა

fort comme un chêne მუხასავით ძლიერი;

payer en feuilles de chêne – მცირედით, უმნიშვნელო რაოდენობით თავის დაძვრენა, გადახდა.

II. ცხოველების, ფრინველების, მწერების და თევზების სამყაროსთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები, ჩვეულები-სამებრ რაიმე ნიშნით უკავშირდებიან ცხოველს, მწერს, ფრინველს ან თევზს; მათი დაყოფა შესაძლებელია შემდეგ ქვეჯგუფებად:

1. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დაკავშირებულია შინაურ ცხოველებთან. ეს ქვეჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია ; ეს იმით აიხსნება, რომ შინაური ცხოველები დიდ როლს ასრულებენ ადამიანის ცხოვრებაში :

chien m. – ძაღლი

en chien de fusil – მოკუნტული, ორად მოკეცილი, წელში ორად მოხრილი, ოთხად მოკაკული;

avoir du chien – ეშხიანი (ითქმის ქაღზე)

cela n'est pas tant chien – არც თუ ისე ურიგოა, არა უშავს რა.

cheval m. - ცხენი:

miser sur le mauvais cheval – ჭკუა წააგო, ანგარიში მოტყუედა, ანგარიში შეეშალა.

être mal à cheval – შავ დღეშია;

dîner (ან manger) avec les chevaux de bois – უსადილოდ დარჩენა.

Chat m. – კატა:

un chat écorché – ნათრევი კატა, ჯოჯოხეთის მაშხალა, ქვაზე დახატული ეშმაკი;

acheter chat en poche – სიტყვაზე ნდობა, თვალდახუჭული ნდობა, უნახავად შექენა რამისა;

conte du chat botté – ჯადოსნური ზღაპარი.

âne m. – ვირი:

être un âne parmi les singes – დაცინვის საგანი, მასხრად აგდებული, ქვეყნის სასაცილო.

bête comme un âne – ვირივით სულელი ;

vache f. ძროხა :

cela lui va comme un tablier à une vache ისე უხდება, როგორც ვირს კრიალოსანი;

manger de la vache enragée დიდ გაჭირვებაში, შავ დღეში, ხელმოკლედ ყოფნა.

2. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დაკავშირებულია გარეულ ცხოველებთან:

loup m. – მგელი:

vieux loup ბებერი გაიძვერა;

lièvre m. - კურდღელი:

sommeil de lièvre ფხიზლად სძინავს;

savoir où git le lièvre იცის, სად მარხია ძაღლის თავი.

lion m. – ლომი:

manger du lion ვისიმე წაქეზება, შეგულიანება, ცეცხლის შენთება ვინმესთვის ;

c'est l'ongle du lion შეუცვლელი, ტალანტი იგრძნობა მასში.

ours m. დათვი:

le pavé de l'ours დათვიური სამსახური;

tigre m. – ვეფხვი:

Jalou comme un tigre კატასავით ეჭვიანი;

cœur de tigre სასტიკი, გულქვა ადამიანი.

3. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დაკავშირებულია ტყის გადამფრენ ფრინველებთან :

merle m. - შაშივი:

merle blanc თეთრი ყვავი; მოუხელთებელი რამ;

bavard comme un merle – მოლაყბე, მოლაქლაქე;

siffler comme un merle – კარგად უსტვენდე.

hirondelle f. - მერცხალი :

au retour des hirondelles – ნაადრევ გაზაფხულზე;

une hirondelle ne fait pas le printemps – ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო;

regarder voler les hirondelles – ყვავებს ითვლიდე.

4. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დაკავშირებულია მწერებთან:

mouche f. – ბუზი:

fine mouche – გაიძვერა, ეშმაკი ადამიანი;

faire d'une mouche un éléphant – გაზვიადება, ბუხის სპილდოდ გადაქცევა, კუდის გამობმა;
la mouche lui monte à la tête – ადვილად დი-
ხიანდება, წონასწორობას კარგავს.

Puce f. – ტილი:

Secouer les puces à qn – 1. დაჟეჟვა, მიბეგვა
(ვინმესი) ; 2. გამოლანძღვა;

mettre la puce à l'oreille – საზრუნავი, სადარ-
დებელი, თავის სატკივარი;

marché aux puces – ძველმანების ბაზრობა
ver m. – მატლი:

tirer les vers du nez à qn – საიდუმლოს გამო-
ძალვა;

comme un ver – დედიშობილა, უსახსროდ
ყოფნა;

ver rongeur – 1. სინდისის ქეჯნა; 2. შემფო-
თება.

5. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თევ-
ზის სახელწოდებებთანაა დაკავშირებული:

carpe f. – კარპი ; ჭანარი:

faire la carpe pamée; ისტერიული ადამიანი;
sot comme une carpe ბატივით შტერი;

s'ennuyer comme une carpe მოწყენილობის-
გან კვდება.

hareng m. – ქაშაყი:

maigre comme un hareng saur – გამხდარი,
ძვალი და ტყავი;

la caque sent toujours le hareng – კუზიანს სა-
მარე გაასწორებსო;

vivre d'un hareng – ცარიელ პურსა და
წყალზეა, ხმელ პურზე.

anguille f. - ანკარა:

souple comme une anguille – ცქვიტი, მარჯვე,
მოხერხებული;

nœud d'anguille – მახრხობელა ;

il y a anguille sous roche – საქმე რაღაცაშია,
აქ მარხია ძაღლის თავი.

დასკვნა

ამგვარად, ნაშრომში მოვახდინეთ არა-
ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიური ერ-
თეულების დახასიათება. განვიხილეთ

ბუნებასთან და ბუნების მოვლენებთან და-
კავშირებული ფრაზეოლოგიზმები (3 ქვე-
ჯგუფი); ცხოველებთან, ფრინველებთან,
მწერებთან და თევზებთან დაკავშირებული
ფრაზეოლოგიზმები (5 ქვეჯგუფი). შეიძლე-
ბა დავასკვნათ, რომ არატერმინოლოგიური
ფრაზეოლოგიზმები ძირითადად ითარგმნება
არაპირდაპირი მნიშვნელობით და ასახავს
გაჭირვებას, დაცინვას, ირონიას, ეჭვს, შიშს
და ა. შ.

ლიტერატურა

1. А. Г. Назарян (1976): Фразеология совре-
менного французского языка, Москва
2. Dictionnaire plus de l'idée aux mots (2002):
Paris
3. Larousse agricole, sous la direction Marcel
Mazyer (2002): Paris
4. Bibiléichvili T. Darachvili L. Gatchava R.
(2010): Dictionnaire des locutions Français-géor-
gien, Tbilissi
5. სახოკია თ. (1950): ქართული ხა-
ტოვანი სიტყვათქმანი. თბილისი, საქ. მეც.
აკადემია
6. <http://nplg.gov.ge>

French Phraseological Units Classification with Nonterminological Origin

Lilita Tabuashvili

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 468 184.

e-mail ltabuashvili@yahoo.fr

Abstract

The major part of the phraseological units in French language arose on the national basis. The sources of their origin are extremely diverse and they go back to the different epochs. The means of age-old French phraseologisms are undertaken from the most varied spheres of the material-cultural and social-economic life of people, they are reflect its own history, lifestyle and culture, its spirit and means of thinking. At the same time, the versatility of the sources of origin complicates the historian-etymological classification of French phraseologisms.

Therefore the proposed classification cannot be considered as exhausting, it reflects only most important sources of the phraseological units origin in French language.

Keywords:

terminological origin phraseologisms, nonterminological origin phraseologisms, classifications, subgroups.

Классификация французских фразеологических единиц нетерминологического происхождения

Лолита Табуашвили

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

пр. И. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел.: 599 468 184.

e-mail ltabuashvili@yahoo.fr

Резюме

Подавляющее большинство фразеологических единиц французского языка возникло на национальной основе. Источники их происхождения чрезвычайно разнообразны, они восходят

к разным эпохам. Образы исконно французских фразеологизмов взяты из самых различных сфер материально-культурной и общественно-экономической жизни народа, в них отражены его история, быт и культура, его дух и образ мышления. Вместе с этим, историко-этимологическую классификацию французских фразеологизмов осложняет многосторонность источников происхождения.

Поэтому предлагаемую классификацию нельзя рассматривать как исчерпывающую, она отражает только наиболее важные источники происхождения фразеологических единиц французского языка.

Ключевые слова:

фразеологизмы терминологического происхождения, фразеологизмы нетерминологического происхождения, классификация, подгруппа .

სვტოტრეპო

Curriculum Vitae

ციური ახვლედიანი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი,
ემერიტუს-პროფესორი
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია, ესპანური და იტალიური ენები
კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ფრანგული, ესპანური და იტალიური ენების პედაგოგი
სამეცნიერო შრომები: 112 სამეცნიერო ნაშრომი, 6 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო
სამეცნიერო ინტერესების სფერო: ენათმეცნიერება (ზოგადი და რომანული ენათმეცნიერება, ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება).

ქეთევან გაბუნია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია
კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
სამეცნიერო შრომები: 65 სამეცნიერო ნაშრომი, 6 სახელმძღვანელო და 1 მონოგრაფია
სამეცნიერო ინტერესების სფერო: ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმცოდნეობა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა.

რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
E-mail: rusudgo@yahoo.com

სპეციალობა: ინგლისური ენა და ლიტერატურა
კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
სამეცნიერო შრომები: 35 სამეცნიერო ნაშრომი, 3 წიგნი (თარგმანი ინგლისურიდან) და ერთი კომპიუტერული სახელმძღვანელო
სამეცნიერო ინტერესების სფერო: ბიზნეს-ინგლისური, მეთოდოლოგია, დიდაქტიკა.

ნინო გურგენიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი
E-mail: ngourguenidze@yahoo.fr

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია

კვალიფიკაცია: ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 3 მოხსენება, 3 სტატია

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ფრანგული ენა და ლიტერატურა, ენათმეცნიერება, ლინგვისტიკა.

მარინა ზორანიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

სპეციალობა: ინგლისური ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ინგლისური და ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 37 სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 8 სახელმძღვანელო)

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ბიზნეს-ინგლისური, მეთოდოლოგია, პედაგოგიკა.

მარინე სიორიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

E-mail: msioridze@yahoo.fr

სპეციალობა: ფრანგული და იტალიური ენები და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: ფილოლოგი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 30 სამეცნიერო ნაშრომი, 1 მონოგრაფია, 2 ლექსიკონი, 1 სახელმძღვანელო

სამეცნიერო ინტერესების სფერო: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანის თეორია, ლინგვოკულტუროლოგია, პარემიოლოგია.

თამარ ქაცანაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
E-mail: goglamisho@yahoo.com

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია

კვალიფიკაცია: ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 8 სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ფრანგული ენა და ლიტერატურა, ლინგვისტიკა, ლექსიკოლოგია.

ილონა კენქაძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორანტი
E-mail: kenkadzeilona@yahoo.com

სპეციალობა: ინგლისური ფილოლოგია

კვალიფიკაცია: დოქტორანტი

სამეცნიერო შრომები: 2 სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ინგლისური ენა და ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია, ლიტმცოდნეობა.

ნანა სტამბოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპისტიკის დეპარტამენტი, გერმანული ფილოლოგია
E-mail: n_stamboli@yahoo.com

სპეციალობა: გერმანული ენა და ლიტერატურა

კვალიფიკაცია: გერმანული და ინგლისური ენების მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 30 სამეცნიერო ნაშრომი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ლექსიკოლოგია, სემანტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა.

ლოლიტა თაბუაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ-
მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
E-mail: ltabuashvili@yahoo.fr

სპეციალობა: ფრანგული ფილოლოგია

კვალიფიკაცია: ფრანგული ენის მასწავლებელი

სამეცნიერო შრომები: 4 სამეცნიერო სტატია და 3 ფრანგულ-ქართული ლექსიკონი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ენათმეცნიერება, ლინგვისტიკა.

ჟურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბებიტოვა** – გუმილიოვის სახ. ევრაზიის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
- ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუშის უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუშის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ენების ცენტრი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

Редколлегия журнала

Маия Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, фулл-профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, фулл-профессор

Виола Пурцеладзе – Тбилисский Государственный Университет, доктор филологических наук, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассоциированный профессор.

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Таня Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Кетеван Габуния – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, руководитель направления романской филологии, фулл-профессор

Ия Бурдули – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассистент-профессор

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской академии естественных наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, ассоциированный профессор

Альба Грациано – Университет Туши Италии, директор центра языков, профессор

Алессандра Спадафора – Университет Туши Италии, доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Георгий Купарадзе – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, ассоциированный профессор

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Full Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philology, Full professor

Viola Purzeladze – Tbilisi State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philology, Associated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Borkhums University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisi State University, Humanitarian Science Faculty, Head of the Direction in Romanian Philology, Doctor of Philology, Full-Professor

Ia Burduli – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philology, Assistant Professor

Maria Mikhaylova – Moscow State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia University of Holy Klement Okhridsky, the leader of the Romanian Philology Department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Liberal Arts Department, Doctor of Philological Science, Associated Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology

Georgi Kuparadze – Tbilisi State University, Humanitarian Science Faculty, Doctor of Philology, Associated Professor